№04/01
04.05.2023 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში შპს „პეტროლჰაბის" 9 000 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 20 იანვრის №28/ს ბრძანებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ.აღთაკლიის ტერიტორიაზე შპს „პეტროლჰაბის" 9 000 მ³ მოცულობის (მიწისზედა) ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცა განუსაზღვრელი ვადით და შესაბამისი პირობებით, რათა შპს „პეტროლჰაბმა" საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, მათ შორის ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული ღონისძებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში შპს „პეტროლჰაბის" 9 000 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 20 იანვრის №28/ს ბრძანებით გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირება შესაბამისი ტექნოლოგიური სქემით. სარეზერვუარო პარკი შედგება შემდეგი რეზერვუარებისაგან:

- **ბენზინისათვის**: 4 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (თითოეულის მოცულობა 1000 მ³) და 1 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (500 მ³ მოცულობის), რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 4500 მ³-ს;
- **დიზელის საწვავისათვის:** 4 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (თითოეულის მოცულობა 1000 მ³) და 1 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (500 მ³ მოცულობის), რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 4500 მ³-ს.

საწარმოს მიერ დაგეგმილია დამატებით სამი რეზერვუარის მშენებლობა და სარეზერვუარო პარკი წარმოდგენილი იქნება 12 რეზერვუარისაგან:

- **ბენზინისათვის**: 4 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (თითოეულის მოცულობა 1000 მ³), 1 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (2000 მ³ მოცულობის) და 1 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (500 მ³ მოცულობის), რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 6500 მ³-ს, ნაცვლად 4500 მ³-ს;

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„04" 05 2023 წ.
№ 3870

- <u>**დიზელის საწვავისათვის:**</u> 4 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (თითოეულის მოცულობა 1000 მ³), 2 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (თითოეულის მოცულობა 2000 მ³) და 1 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარისაგან (500 მ³ მოცულობის), რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 8500 მ³-ს, ნაცვლად 4500 მ³-ს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარეზერვუარო პარკის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის ცვლილება დაკავშირებულია საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლასათან.

აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას და ექსპლუატაციის პირობების შეცვლას (მათ შორის, წარმადობის გაზრდას) და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს საჭიროების დადგენის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში შპს „პეტროლჰაბის" 9 000 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შედგენილ სკრინინგის განცხადებას, თანდართული სკრინინგის ანგარიშით და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში მდებარე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №81.06.00.089) განთავსებულ ნავთობპროდუქტების საცავის (9600 მ³ ტევადობის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიში(დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;
2 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

დავით ინაური

შპს „პეტროლჰაბის" დირექტორი

PETROLHUB
405525052
GEORGIA, "PETROLHUB" LLC